საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემოწმების აქტი №002706/შ

შედგენის თარიღი: 25 მარტი, 2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 09 ნოემბრის №002706 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002706/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შრომითი უფლებების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამოწმებს გაცემული მითითებების შესრულების ფაქტს, რისთვისაც შრომით უფლებებზე ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, (უფროსი შრომის ინსპექტორი) [redacted] და უფროსი სპეციალისტის, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (შრომის ინსპექტორი) [redacted] მიერ, 2022 წლის 26 იანვარს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ორგანიზაციის დასახელება: შპს „პირველი სამედიცინო ცენტრი";
საიდენტიფიკაციო ნომერი: 200007143;
დირექტორები: ზაზა ავალიანი; ოთარ გადაბაძე
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N255;
შემოწმებული ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N255.

შპს „პირველი სამედიცინო ცენტრის" მიმართ 2021 წლის 09 ნოემბერს გაიცა №002706 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002706/ო მითითება, რომლის თანახმად, მას მითითების გამოსასწორებლად განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა.

ზემოაღნიშნული №002706/ო მითითების თანახმად, კომპანიის მიმართ გაიცა 4 მითითება, რომელიც ეხებოდა შრომის კოდექსის სხვადასხვა ნორმის დარღვევას. აღნიშნული 4

მითითებიდან დამსაქმებლის მიერ გამოსწორებულ იქნა 3 მითითება, ხოლო 1 მითითება არ გამოსწორებულა. კერძოდ:

პირველი მითითების თანახმად, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კოვიდ-19 მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ მედდა [redacted] 2021 წლის ივნისისა და ივლისის თვეში გაცემული დანამატის ოდენობა ნაკლებია აღნიშნულ თვეებში მის მიერ ნამუშევარი საათების გათვალისწინებით, კუთვნილი დანამატის ოდენობაზე. რეინსპექტირების ფარგლებში, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საგადახდო დავალება, რომელშიც ფიქსირდება ზემოაღნიშნული დანაკლისის დასაქმებულისთვის ჩარიცხვის ფაქტი.
პირველი მითითების თანახმად, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლის მიერ ექიმ [redacted] გაცემული 2021 წლის ივლისის თვის შრომის ანაზღაურება ნაკლებია აღნიშნულ თვეში მასზე გასაცემი, კუთვნილი შრომის ანაზღაურებისა. რეინსპექტირების ფარგლებში, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საგადახდო დავალებები, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული დანაკლისის დასაქმებულისთვის ჩარიცხვის ფაქტი.
პირველი მითითების თანახმად, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ ინფექციონისტ [redacted] მიმართებით, დამსაქმებლის მიერ არ ხდებოდა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით (მე-20 დანართი), კოვიდ-19 მართვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე ინფექციონისტისთვის განსაზღვრული დანამატის გაცემა. აღსანიშნავია, რომ რეინსპექტირების ფარგლებში დამსაქმებლის მიერ არ წარმოდგენილა რაიმე დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის მიერ დარღვევის აღმოფხვრას, კერძოდ, [redacted] კუთვნილი დანამატის ჩარიცხვის ფაქტს.

მე-2 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი. კერძოდ, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო გაწერილი სამუშაო დრო და დასვენების დრო. რეინსპექტირების ფარგლებში წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში კი, გაწერილია სამუშაო დრო და დასვენების დრო.

მე-3 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. კერძოდ, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა. რეინსპექტირების ფარგლებში

წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში კი, გაწერილია დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა.

მე-4 მითითების თანახმად, დარღვეული იყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. კერძოდ, დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო გაწერილი ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, არ იყო დადგენილი ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურების კონკრეტული ოდენობა. რეინსპექტირების ფარგლებში წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში კი, მითითებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, დადგენილია ზეგანაკვეთურად ნამუშევარი დროის ანაზღაურების კონკრეტული ტარიფი.

2021 წლის 09 ნოემბრის №002706 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული 2021 წლის 09 ნოემბრის №002706 მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორების საკითხის შესწავლის შედეგები შემდეგნაირია:

№	გაცემული მითითება	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსი" 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი** „შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ“. „შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით“.	**მითითება არ შესრულდა;**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი** „სამუშაო დრო და დასვენების დრო“.	**მითითება შესრულდა;**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი**	**მითითება შესრულდა;**

	„თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში მიეთითება რანგი, თანრიგი, კატეგორია და სხვა) და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა“.	
4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის, ,,საქართველოს შრომის კოდექსი'' მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი** „ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი“.	**მითითება შესრულდა;**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

_____

_____

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

_____

_____

ახსნა-განმარტება შემოწმების აქტთან დაკავშირებით:

_____

_____

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი:

_____

_____